

საქონლები
2020 წლის 10 თებერვალი

ნახ. ვ. სარკოზაძე



№ 3 (1277) თებერვალი 1968

• საქონლები

გამოცემის 45-ე წელი ფასი 20 ლა.

- შვილო, სურათი მაინც გამარტანი უნდა!
- ჩემი სურათი რად გიცდა, გაგუა?
- სოფლის ცენტრი შენოოშევსლელთა სტელს ვა-
გოთვები და გამოგვადგება.



«ნიანგა» მასტერები უჩა ჯაფარიძეს

შაირ-სიტყვითა ნიანგი სამოცი წლისთავს გილოცავს!
სტეირიცა მაქვს და ფანდურიცა, შეწზე გამღერებ ნილოსსაც...

პროფესორს, აკადემიკოსს, ლაურეატს და სახალხოს —
მოგესალმები (ბოდიში, სხვა ტიტულები არ მახსოვეს!)

ლიდება შენს ფუნქს, პალიტრას, მაგ შენთა ფერთა რთველობას,
შენს ნანატრ კაცურკაცობას, დალოცვილ შენს ქართველობას!

რამე ჩემთვისაც დახატე! — თხოვნით მოგმართავ უჩასა
ეგების, დღეს არ გცალა? ხვალ იყოს, არ უშავსა!

დე, შენს დიდ შემოქმედებას დასასრული არ უჩანდეს...
და ბევრი მხატვრის ოცნება, დე, იყოს ასვლა უჩა მდე!

ქვე იცოცხლი და გვახარე დღეიდან სამჯერ სამც წელს!
უკმაყოფილ ხომ არ ხარ? ხომ გელიანად დაგლოცე?

რაზ ალვაზ და კალ...

საღამი და გამარჯვება
ნებ მოგიშალოთ ღმერთმა ქუ-
თაისისა და ზესტა-
ფონის სახალხო მოსამარ-
თლენო და მსაჯულებო!

გისურვებო ბედნიერებასა და
ჯანმრთელობას საზოგადო საქ-
მიანობასა და პირად ცხოვ-
რებაში. როგორ გიკითხოთ?
იმდეით, კარგად იქნებით. მე
თუ მიკითხავთ, არა მიშავს რა,
ვარ თქვენგან დავიწყებული.
კარგა ხანია, თქვენგან უწყება
აღარ მიმიღია და ლამის გავ-
გიუდე. არ ვიცი, ვის დავაძრა-
ლო — ფოსტას თუ თქვენს გულმავიწყობას. ისე, აღბათ
გაგახსენდით. დიახ, მე ლეო
ზეტის თვი გახდავართ, ქუ-
თაისის მქიდრი. ისევე იქვე
ცეცხლობ, კომინ ნტერნის
ქ. № 3-ში. გაგახსენდით?
ქეთილი და პატიოსანი! აღ-

ბათ, ჩემი საქმეც გაგახსენდათ:
აი, ის, 1967 წლის სექტემ-
ბერში ქუთაისის „საქტყომ-
შენვაჭრობის“ ცენტრალური
გაზიდან ხე-ტყის დახერხილი
მასალა რომ მომისერხეს ბა-
ზის მოხერხებულმა მუშაკებმა.
აფერუშ ზათ ბიჭობას! 19-მა-
ნეთიან ქვითარზე ხელი მოზა-

წერინეს და ნაღდად 42 მანე-
თი გამომართვეს. თვალსა და
ხელს შესა ამაფცევნეს 23 მა-
ნეთი. ევონათ, შევარჩენდი,
მაგრამ არ შევარჩინეს....

ქვეყანა შევძარი, ქვა ქვაზე
დაგვადუღე და ჩემი კუთვნილი
თანხა მაინც დავიბრუნე. რა-
ტომ არ დაიქცა ის დღე! რა
ვიცოდი, თუ ფულსაც დამიბ-
რუნებდნენ და სასამართლო
საქმეც შედგებოდა? დიახ, შე-
დგა საქმე და იმ დღიდან
დაიწყო ჩემი გაწამაწია:

ჯერ იყო და საგამომძიებ-
ლო ორგანოებში სიარულით
გავცვითე ერთი წყვილი ძვირ-
ფასიანი ფეხსაცმელი და ფას-
დაუდებელი ნერვები. მერე
იყო და, ჩემს მოწმებთან ერ-
თად, ხელიხელჩაკიდებულებს
აგვატალახებინეს სასამართ-
ლოს კარგი. ლოდინით იღაჯ-
გაწყვეტილებს რომ გვევონა
საქმე საქმეზე იყო მიმდგარა,
სწორედ მაშინ დაბრუნდა გა-
მოძიებული საქმე ხელახლ
ძიებაში. შემდეგ კი ხელახლად
ნაძიებმა საქმემ, რატომდაც,
ზესტაფონში ამოძყო თავი.

ქუთაისში მომხდარი ამბავი
ზესტაფონის სასამართლოს და-

უქვემდებარეს. მეტი რა გზა
მეონდა? — უწყების მიღების-
თანავე ჩამოვურბინე ჩემს მოწ-
მების და ხელკავამოდებული
მივევარე ზესტაფონის სახალ-
ხო სასამართლოს. სათქმელი
არაა, მაგრამ მაინც უნდა
ვთქვა: სამი კაცის მგზავრობა
ქუთაისიდან ზესტაფონამდე 2
მანეთი და 10 კაპიტი დამიჯ-
და. პატიოს გამოყვალამ ჭამის
მაღა მოგვიმატა და საუზმეში
სამი მანეთი გადავიხადე. სა-
სამართლოს მოლოდინში საუზ-
მეს სადილიც მიღაყოლეთ და
ხარჯს ხარჯი წაემატა. ამას
ისიც დაემატა, რომ ჩემი დამ-
ზარალებელი სასამართლო
სხდომაზე არ გამოცხადდა და,

როგორც ვატყობ, ერთხელ კი-
დევ მომიწევს ჩემს მოწმე-ჯა-
მათთან ერთად ზესტაფონში
ჩასვლა და ხარჯის გაღება.
ვინ იცის, ჩემს დამზარალე-
ბელს იქნებ პერსპექტიულ
გეგმაში აქეს ჩემი თანმიმდევ-
რულად დაზარალება!.. ვაი-
თუ, იმ ჩემი ცოდვით საქსეს,
განურაცხლი აქეს ოცდაორ
მანეთზე ოცდაორჯერ მეტი
დამახარჯვინოს სასამართლოე-
ბში სიარულით. ახია ჩემზე!

აუტყივარი თავი რაზე ავიტ-
კივე? არ მეჩივლა, არ ჯობ-
და? პატრონი უნდა მყავდეს,
რომ ის დახერხილო მასალა სა-
თითაოდ გადამამტკრიოს თავ-
ზე!

ახლა ქუთაისში გზავარ
ბოლმით გასივებული და ვფიქ-
რობ: ჩემმა დამზარალებელმა
ზესტაფონის სახალხო სასა-
მართლოს აცილება რომ მის-
ცეს და საქმე ახალციხეში ან
აღიგებში გადაიტანონ, რა მეშ-
ველება!

ან რა წაიყვანს იქ მოწ-
მების და ან წამომყვებიან კი?
ამაზე ნათქეამით: „რაც მო-
გივა დავითაო, ყველა შენი
თავითაო“.

ნიანგის რედაქცია შედის
ფერისოვის მდგომარეობაში
და შუამდგომლობს ქუთაი-
სია და ზესტაფონის სახალ-
ხო სასამართლოების წინა-
შე: ზეუფარდონ ამხანაგ ფე-
რისოვს ამნისტია და აპა-
ტიონ გამოუცდელობით გა-
დატანილი ჭაპანწყვითა და
უსიამონება.

3. პატელივალი,
4. რაჭელივალი,

საქართველოს რევოლუცია და ეთნოგრაფი ...

ხელი დროიდან იღებს სათავეს. მარტვ-
რულ თარგმანში ასახება მშეფოთვარე
ეპოქების მოთხოვნილებები. როგორ
არის ჩვენს ეპოქაში ლექსების, კერძოდ
„სასიმღერა ლექსის“ თარგმანის საქმე? **მ შ ვ ე ნ ი ვ რ ა დ!** დღეს საქართველოში
ყველა წერს ამნაირ ლექსს (რადგან
იგი ძალიან „ი ო ლ ი ა“) და ყველა მ ღ ე-
რ ი ს. ბუნებრივია. ეს ნაწარმოებები
თავს თარგმანი ითხოვს (აბა, რუსულიდ
თუ არ წაუმდერენ ნახევარი, ისე რა მუ-
სიკალური კულტურა!). ამიტომ არის,
რომ თარგმანი ასე განვითარდა, ავიდა
თავს კულმინაციურ წერტილზე. საი-
ლუსტრაციოდ გამოდგება ყველასთვის
ნაცნობი სიმღერა „მ ა ი ნ კ ჩ ე მ ი გ თ-
გ თ ნ ა ხ ა რ!“ საქმალდ სასიმღერო მე-
ლოდია და ლექსი ლირიკულად განაწ-
ყობს მშენელს:

მთელი ჩემი სიყვარული
მხოლოდ შენა ხარ,
გულში ციცინათელების
შემოფრენა ხაჩ!

მისი აღევატური თარგმანი ასე
ეღერს:

Ты мечта моих мечтаний
Красота моя,
Улыбнись же дорогая
Ты моя судьба!

რად უნდოდათ თარგმანის უდიდეს
თეორეტიკოსებს — შლაიერმაპერს, ეფ-
რემ მცირეს, ეტიენ დოლეს ის კლასიკუ-
რი ტრაქტატები! აიღეთ გიტარა, ჩამო-
კარით ხელი და თარგმანების ბრწყინვა-
ლე ნიმუში მზად არის! ერთი შეხედვაც
კი ქარა იმის მისახვედრად, თუ რა დი-
დი ინტუიციით, აღლოთ, გემოვნებით
არის აღმული ორიგინალის რაობა.
მთარგმნელი, ღრმა ანალიზის საფუძ-
ველზე, თავს უფლებას აძლევს, უფრო
ლამაზი, პოეტური ელფერი მისცეს ორი-

გინალს: ფილოსოფიურად ართულებს,
უმატებს... მაგრამ მიგუვეთ თარგმანს:

მთელი ჩემი სიყვარული მხოლოდ შენა ხარ!

Ты мечта моих мечтаний красота моя!

ე. ი. თუ ჩემი სიყვარული ხარო, — ამ-
ბობს მთარგმნელი, — მაშინ მეჩტაცა
ხარო. აი, პოეტური გაეგბას ღრმა და
ფართო ილუსტრაცია! შემდეგ: „მ ხ თ-
ლ ი დ შ ე ნ ა ხ ა რ“ ყოფილა красота
моя. ვისაც ვინ უყვარს, მისი ლამაზიც
ის არის!

გულში ციცინათელების
შემოფრენა ხაჩ!

აზრი გასაგებია და ეს სრულიად ეს-
მის მთარგმნელს:

**Улыбнись же дорогая
Ты моя судьба!**

მთარგმნელობითი ნიმუშების ბრწყინ-
ვალე ფონდში სულ ამ რამდენიმე ხნის
წინ ღრასეული ადგილი დაიმკვიდრა კი-
დევ ერთმა მარგალიტა:

ნეტავ სად არის კიდევ ცა
უძირო, ლურჯი, ხალახი.
Такой лазурный небосвод
Сияет вечно над тобой.

აქაც იმავე აზრის უფრო ჩამოქნადა-
ხევწაბაზ გვაქვს საქმე. თუ ვეზენ
ნად თ ბ ი ე, მაშინ, რა თქმა უნდა.
სხვაგან აღარ იქნებათ და თუ სია ე თ
ცა, უძიროა, აბა, რა ჭანდაბათ, — ამ-
ბობს მთარგმნელი. ამ ორიოდე სიტყვი-
დანაც კი ჩანს, თუ რა ღრმად ესმის მთა-
რგმნელს კოსმოსის ათვისების მეცნიე-
რული საფუძვლები.

ბოლოს, „სასიმღერო ლექსის“ ფანრის
აპოგეად გვევლინება უკვე საქმალდ პო-
პულარული სიმღერა „მ ა ლ ა დ ა“ (მე-
ლოდიასა და შესრულებას არაფერს
ვერჩით, პირიქით, ძალიან კარგია).

არ მიუვარდა ერთი გოგო,
არც მომწონდა, არა და...
რა ვიცოდი, ვისა შიგან
თუ ის დამიფარავდა.

**Эта грустная баллада,
о печали милых глаз
о весне прошедшей рядом,
о любви что не сбылась.**

თარგმანი ოდნავ თავისუფალია, მაგ-
რაც მხატვრულ ღირებულებას არ კა-
გავს. „ბატარა ბალადა“ სევდიანი გახდა
(გრустна я) და თუ ორიგინალში
იგულისხმება, ის გოგო უხმოდ წავიდათ,
თარგმანში პირდაპირ გამიტორულია,
რომ თვალები დამახსოვრებია პოეტს. ეს
არის მთარგმნელის მიერ ჭეშმარიტი პო-
ეტური სულის უტყვია გაგება.
ასევეა შემდეგ სტრიქონებშიც:

О весне прошедшей рядом. ე. ი. გ-
ზაფულივით უხმოდ წავიდათ.

О любви что не сбылась...

აქაც ისეთივე გულშრფელი აღიარე-
ბით არის მთარგმნელის მიერ ჭაშქარა-
ოზე გამოტანილი ლი ბ ი ვ ი — სიყვა-
რული. თუმცა ეს ორიგინალში არსად
არის ნახსენები, მაგრამ ეს გამოეპარება
მთარგმნელის მახვილ მზერასა და ინ-
ტუიციას?!


და კიდევ ბოლოს: რა საჭიროა ჭარ-
ულ-რუსულ-ინგლისურად სიმღერა
ერთბაშად?

თუ ჭართულად ვმღერით, ჭართულად
ვიმღეროთ! თუ სხვა ენაზე, მაშინ იმ
ენაზე (მით უმეტეს, რომ გრამფირფი-
ტებადაც გამოდის ეს სიმღერები).

გარწმუნებოთ, მაშინ თარგმანიც ნამდ-
ვილ პოეტურ სახეს მიიღებს... ორიგი-
ნალის დარაღა.

ზურდან ყორლანაჟვილი


ნახ. ჯ. ლოლაშვილი



— ხელნები სად დააგით, შვილებორ?




სეიტყველი





ნახ. ჯ. ლოლუასი

ნახ. გ. ვიტებსკის მუზეუმი



— მეც შეი ჩუთდღიანი სამუშაო კვირა! უჯერა
აპლა მანდ რჩვაგათავდე!

ნახ. ი. დოიაზვილისა



ნახ. პ. მრაპისა

პრიტიპოსი პაილის ეივათან

სტრატოლოგიურ კაბინეტში ყმაა ჩვეული ქაცი შემოიყვანეს. ავადმყოფი ფრთხილად ჩაჭარა სავარძელში და საცოდავდ დამინჭა: ვამე, ვკვდებით!

ექიმმა ავადმყოფს პრიტიკოსი მოჰსნდა და... ცნობაც რომ არ სჭირდებოდა, ისე ცნობილი კრიტიკოსი იყონ. მეორე სავარძელში მჯდომ მოქალაქეს კი სიცილი აუტყდა, სატანჯველში ჩავარდნილი კრიტიკოსი რომ იხილა.

— რა კაინობთ, პატივებმულო? ხომ ხედათ, კვდება კაცი! შენიშნა მოქალაქეს ექიმმა და კრიტიკოსს სთხოვა, — პირი დააღეთო...

ახალმა პატივებმა დიდი გაჭირვებით შეასრულა ექიმის თხოვნა.

— აბა, რომელი კბილი გაწუხებთ? — ქვითხა ექიმმა.

კრიტიკოსმა გაჭირვებით მიღილ საჩვენებელი თითო ღოყაზე.

— ეს ერთი, არა — კვლავ ჰქითხა ექიმმა და კბილს სინჯვა დაუწყო, — აა, ეს უნდა მოითხაროს, თორებ სხვებსაც გააჟურებს! — დახძინა მან, აუცილებლად უნდა მოითხაროს! თანახმა ხართ?

— მომ ჩხარე...! წილაცილეთ! მომქლა! — ტირლანარევი ხმით წარმოსთქვა კრიტიკოსმა.

— მა, მა, მა! — კვლავ ახარხარდა მეორე სავარძელში მჯდომი მოქალაქე, — არ მოითხაროთ, არატივცემული კრიტიკოსი, თორებ არატიპიური იქნება! თვეებ ერთი კბილი გტკვეთა, დანარჩენი ხომ საღი გაქვთ? არ მოითხაროთ! — სიცილებდა მეორე სავარძელში მჯდომი.

კრიტიკოსმა თავი სიმწრით მიაბრუნა და... მწერალი-სატირიკოსი იცნო.

საშინელი ტკივილი რომ არა, ალბათ, მასაც გაეცინებოდა. ეს ის მწერალი გაბრდათ, კრიტიკოსი საშველს რომ არ აძლევდა: ცხოვრების არატიპიურ, მაგნე მოლექტზე წე სურ, დადებითი შენიშნეო!

— არ მოითხაროთ! არ მოითხაროთ! არატიპიური გამოგიფათ! — სიცილით კვდებოდა სატირიკოსი...

მოთა რეკვა

გელიკოს ღია გარეთი
ამოალებაისადი

ქერ ხომ პატარა გოგოა
თკვენი ნაწარი მედიყო!
მ-მილო, შვილი წლისა ვარ,
ძროველ კლასში ვარ, დედიკო!

ჰოდა, რა მოხდა, არ ფიცი,
რომ არ შიბრალებთ არც ერთი.
ზინ არ შაჩქრებთ წამითაც,
რა დაგიშავეთ ახეთი.

ლილით სკოლაში დაგუავით,
ტერე მუსიკას გავდივარ,
არც ცურვა დაგვიჭებიათ,
უცხო ენაზეც დავდივარ.

ცეკვაც მაქვებ, ძროწვაც, ჭრა-კერვაც,
ლამის გავიჭრე ათადა;
დედამატორიც გამხადეთ,
წრები ალარ გათავდა...

ახლა ამაყად დადიხართ,
რომ აისრულეთ წალილი.
აქედან გერრათ, გამოვალ
შეც პროფესორი ნამდვილი.

სულ ამერიკა დავთრები,
(რა ვქნა, თქვენს სურვილს მივნილი)
ქართულში უსრეც ინგლისურს,
ცეკვაში — ცურვის ილეთებს.

უფლაფერს ცენავლობ თოთქოს და.
რას ცხავლობ, შაინც არ ვიცი,
როცა ორიანს მივიღებ,
თქვენ ჩემზე უფრო განიცდით.

შულს წუ გაიტეხთ, კარგებო,
უძღა გაგანდოთ ფიქტები:
იძღენს დავრმივარ, რომ ბოლო
სპორტსმენი მაინც ვიქნები

თარიღ გავთახი

ჩვენი წყალი გარეგნება!

ჩვენი წყალი გადაგსხმოდეს! — აგერ უკვე ოცე
წელია მესმის. ჩვენი წყალი გადაგსხმოდეს, — მე-
უბნება ყველა, ვინც კი გაიგებს, რომ მე მარტო ონ-
კანისა და ზღვის წყლით ვსარგებლობ მხოლოდ.

ჩვენი წყალი გადაგსხმოდეს! — პათოსით ამბობს
თამადა და პირთმედე სავსე თასს თავზე მაღლა
სწევს. ამას ისე ოსტატურად იკეთებს, რომ ერთი
წვეთიც არ ესხმება მელოტ თავზე. ამინ! — ამბო-
ბენ სუფრის წევრები და ყანწებს პირდაპირა აპირქ-
ვავებენ. მეც თავს დაბლა ვტრი, თითქოს მზადა ვარ,
გადავისხა მათი წყალი.

წყალი მართლაც ძალიან მიყვარს. წყლის სმა
რომ არ მიყვარდეს, ჩემისთანა ტანწერწეტა კაცი არ
იქნებოდა ქვეყანაზე. ალბათ, ლუდშიც ბევრი წყა-
ლია, რომ აյგ პროგრესულად მოქმედებს ჩემს წო-
ნაზე. ეტყობა, არც ლვინოა წყალნაკლული. მე არც
წყლის გადასხმა მაკლია პირდაპირი მნიშვნელობით.
უკველ დალით ცივ შხაპს ვიღებ. ნატატარისა თუ
ბულაჩაურის წყლისას. ასე რომ, წყლით ვერავინ
გამავირვებს. მაგრამ თქვენც კარგად მოგეხსენე-
ბათ, თუ რომელ წყალს გულისხმობენ ისინი, ვინც
აგრე უკვე ოცი წელია ომაზიანად მიკიუინებენ, ჩვე-
ნი წყალი გადაგსხმოდესო.

გადაწყდა: კველაფერს ხომ ბოლო აქვს ამ ქვეყა-
ნაზე? მეც ერთ მშენებელ დღეს გადავწყვიტე და
თავი შევუშვირე ცხოვრებს შხაპს.

და, ვაი, თქვენს მტერს, რაც მე დამემართა:

ონკანი შემეშალა. ცისფერის მაგივრად წითელი
ახელური შემოვაბრუნე. დავდივარ ახლა დამღულ-
რული და ვწევლი ყველას, ვინც ასეთი პათოსით
მიწევდა აგიტაციას — ჩვენი წყალი გადაგსხმოდე-
სო.

გიგანტი

მთავარი
რედაქტორი
ნოდარ დუმჩაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. ბოლქვაძე
(გ/მმ. მდიგარი),
ს. გლეიძაშვილი,
გ. გალაზონია,
გ. ნიშნიანიძე,
(გთავ. რედ.
მოადგილი),
გ. უგოლიძე,
ო. ჯელიძე.

ათირისა და იუმორის
რუნალი „ნიაზი“.

თარიღი 42
თარიღისას რუსთავილის არსაკანი №

ფოტო 0-76-09, 3-10-78

ნიაზი

თბილისი, სატელევიზიო კონკურსის არსაკანი № 14
თბილისი, სამსახურის გამოცემა
ეროვნული სამსახური. სამსახური
დასახლ. 25/1 1968 წ.
კარ. ზოგა 70x108^{1/2}
1 ნაბ. ფურც. 1.4.
ფიზიკურ ფორმათა
რაოდანობა 1.
ფიზიკით ფორმათა
რაოდ. 2. საჭ. გვ
ცდის გამოცემალო-
ბის 3/კომპიუტერი.
თბილისი, ლინიის
ქ. № 14. მეტ. № 307.
ფო 04906.
ტირაზი 82.300.



— რა პენი, შვილო, ჩაქარე?
— არა, მაგი! ნატურით აღარ იგარემო.

ნახ. გ. ცისფერალაგაძი



68-78

 0419363-1
 808-101010
 1.
 1968
 ИНДЕКС 76317



ვაკევერიათ შურცლ „ნიაზის“ მი-
 ღ ე. ქ. თაბილიძეს აზევესის ჭირ დასადგ-
 მელი, კონტურული გამარჯვებული
 ძეგლის პროექტს.

ვანევაკევა სიმაღლურია, გრანიტი-
 სანაა გამოთლილი და ავტომატური
 სახელმიწოდებული სადგურის მუზაკების
 გულვალების მიზანებისა. მისი სკო-
 რტული ფორმა — ტელეფონის დას-
 დგენერაც სამიზნო გულვალების ცენ-
 ტრიუმფი, ხოლო ტელეფონისგან და-
 უკვე დადგმული, მოაღლილი ტელე-
 ფონის ჩაც ზეიჭება შორს გადაგ-
 ვებაზე მიუთითობს.